



პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს

გადაწყვეტილება № 03

2020 წ. "31" 01

ქ.თბილისი

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ პროფესიული
მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების
მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადების პროგრამებისა
და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული
მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი
საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის,
შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131
დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა)
ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ (ს/კ: 200279448)
მიენიჭოს უფლება, განახორციელოს ქვემოთ მოცემული პროფესიული მომზადების
პროგრამა:

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრა მის სახე	ეროვნუ ლი კვალიფი კაციების ჩარჩოს დონე	პროგრამ ის ხანგრძლ ივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
00402	სოციალური მედიის მართვა	მომზად ება	მეხუთე	17	ქართული	15	თბილისი, ილია ვეკუას ქ. N44

2. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №2 სხდომის ოქმში განხილული საკითხი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს საბჭოს სხდომის დღიდან.
4. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

საბჭოს თავმჯდომარე
მარიამ ქუჩულორია

მდივანი
მარიკა ზაქარეიშვილი

A handwritten signature in blue ink, appearing to read 'მარიამ ქუჩულორია'.